Всех, пришедших с миром, ода-ришь ты,

Доброе ты в каждом из нас ищешь,

Для гостей сладка, врагам горька.

Вдохновишь поэта красотой,
Поведешь к вершине за собою,
В сердце оставаясь на века...

Васильевич, 1993 года рожд., из семьи столяра-музыканта Каратных Василия и воспитательницы детского сада Каратных Натальи. С раннего возраста родители заметили склонность мальчика к музыке, поэтому отдали в музыкальную школу на класс фортепиано. Именно с этого времени и зародилась его мечта писать и выступать на

განათლებისა და მეგობრობის ბურჯი



ოდითგანვე განათლების, მეგობრობის, სიყვარულის ბასტიონია თბილისის 104-ე საჯარო სკოლა. მას უკვე დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა.

საუკუნეების მანძილზე თბილისი იყო სომხური ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი, სადაც 1480 წელს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აღიმართა დიდი სომხური ტაძარი, ეს იყო სამეფობათიანი კომპლექსი. კომუნისტური რეჟიმის დროს იგი დაანგრეს და ამ ადგილზე აშენდა სომხურენოვანი სკოლა, რომელმაც თავისი პირველი კურსდამთავრებულები 1938-1939 წელს გამოუშვა. მეორე მსოფლიო ომის დროს კი სკოლა ფუნქციონირებდა, როგორც სამხედრო ჰოსპიტალი.

1946-1954 წლებში სკოლას მიენიჭა 36-ე სკოლის სახელწოდება. ხოლო 1954 წლიდან იგი თბილისის 104-ე სკოლის სახელწოდებას ატარებს.

სკოლის ახლოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი მდებარეობს. ეს ის ადგილია, სადაც მსურველს ძველი ქალაქის ნანძღის დათვალიერება შეუძლია. მარჯვენა მხარეს თანამედროვე ტიპის შენობებია განთავსებული, ხოლო მარცხენა მხარეს ძველი სახლები მდებარეობს აივნებით. სწორედ აქ, ათონელის ქუჩაზე, №5-ში მდებარეობს 104-ე სკო-

ლა, რომელსაც საინტერესო და საამაყო ისტორია აქვს. ეს ადგილი კურთხეულია, აქ ღვთის მაღლი ტრიალებს. სკოლას აქვს საკუთარი გაზეთი „ვანჯი“. ამავე სახელს ატარებს სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლიც.

სკოლას დიდი ხანია მეგობრული ურთიერთობა აქვს ქ. ერევნის №198 სკოლასთან. ხშირად სტუმრობენ მოსწავლეები სომხ-



ეთიდან, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც აწარმოებენ მიწერ-მონერას ერთმანეთთან, უზ-

იარებენ ერთმანეთს საინტერესო ინფორმაციებს.

სკოლა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. გარემო ფრიად პოზიტიურია, იგი დაფუძნებულია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთპატივისცემაზე.

სკოლის საქმიანობას აცოცხლებს პროექტ-გაკვეთილები, ღია გაკვეთილები, სპორტული შეჯიბრებები, სასწავლო ექსკურსიები, მუსიკალურ-კრეატიული ღონისძიებები, საქველმოქმედო პროექტები, საინტერესო კონკურსები, სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურის წრე — „ოქროს ბუმბული“, რომლის წევრები თვეში ერთხელ აწყობენ პოეზიის საღამოებს. მასში მონაწილე მოსწავლეებს ახალისებენ სასკოლო სიგელებით.

ბიბლიოთეკაში კი ხშირად ეწყობა შეხვედრები გამორჩეულ პიროვნებებთან მწერლებთან, პოეტებთან, ტარდება გამოფენები, პოეზიის საღამოები, მხატვრული კონკურსები, დისკუსიები.

მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება შეუძლებელია პატრიოტული, ზნეობრივ-ესთეტიკური შრომითი აღზრდისა, შესაბამისი კოლექტიური და ინდივი-

ხელმძღვანელები. დანყებითი განათლებისა — ლამარა კახარიანი, მათემატიკისა — იზაბელა აბრამიანი, ქართული ენისა და ლიტერატურისა — მარიეტა

წლის იუბილესთვის არაერთი ღონისძიება ჩატარდა სკოლაში, ასევე — ცალკეულ კლასებში.

2017 წლის 23 მარტს საინტერესო იყო დანყებითი კლასე-



შარდონარიანი, საბუნებისმეტყველოსი — კარინა კარაპეტანი, საზოგადოებრივი მეცნიერებისა — დინა გევარქიანი,

ბის კათედრის ღონისძიება „ოვანეს თუმანიანის დღეები“. სკოლის ბიბლიოთეკაში გამოიფინა ნახატები შექმნილი ოვანეს თუმანიანის ზღაპრების თემებზე. წაიკითხეს ნაწყვეტები მწერლის ზღაპრებიდან.

29 მარტს დაიგეგმა ექსკურსია თბილისში მდებარე სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

28 აპრილს პატივი მიაგეს სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის ხსოვნას. ღონისძიების ორგანიზატორი იყო პედაგოგი კარინე ოვანეზოვა.

მიმდინარე წლის 9 ივნისს სკოლის დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სცენაზე მეოთხე კლასელები იყვნენ. გაჟღერდა არაერთი ლექსი და სიმღერა მიძღვნილი მშობლიური ენისა და პირველი მასწავლებლისადმი. ზეიმს ესწრებიოდნენ პედაგოგები, მშობლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სიტყვით გამოვიდნენ დირექტორი ი. ჟამკოჩიანი, მისი მოადგილე ა. სირადევიანი და მე-4 კლასის დამრეგებელი ს. კალიოანი.

მოენყო შეხვედრები გამოჩენილ პიროვნებებთან. მაგალითად, შეხვედნენ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ფერწერის კოლექციონერს ბატონ ალექსანდრე პირადოვს. შეხვედრა შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდა.

3 მაისს გაიმართა კომპანია: „ერთი დღე პროფესიაში“ დაგეგმილი აქცია - „მოსწავლე — მასწავლებელი“. აქციის ფარგლებში სკოლის დირექციამ უფროსკლასეულ მოსწავლეებს შესთავაზა სასურველ საგანში, შესაბამის თემაზე მოემზადებინათ და ჩაეტარებინათ გაკვეთილი თანაკლასელებისთვის ან სხვა კლასის მოსწავლეებთან. ღია გაკვეთილებმა კარგად ჩაიარა.

27 მაისს საზეიმოდ მორთულ სააქტო დარბაზში შედგა

უალური ღონისძიებების გარეშე. ეფექტიანად მუშაობენ საგნობრივი კათედრები: მათი

უცხოური ენებისა — ალვინა ავეტიანი, გულნარა არუთინიანი, ესთეტიკური აღზრდისა — მარინა არშაკიანი.

საერთაშორისო ინფორმაციების მიწოდება-ორგანიზებას ხელმძღვანელობს აკადემიკოსი სურენ მკრტიჩიანი.

მთლიანად სკოლის საქმიანობას უზარაანად ხელმძღვანელობენ გამოცდილი, შრომისთვის თავდადებული პიროვნებები: სკოლის დირექტორი ირინა ჟამკოჩიანი, მისი მოადგილე ალმარი სირადევიანი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე სილვა სარუხანიანი, საფინანსო სამსახურის უფროსი — ბუღალტერი ნელი ზოდიაშვილი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი — მელიქსედ აკოფიანი, ბიბლიოთეკარი — ასმიკ ანტონიანი, საქმის მწარმოებელი ლელა ენუქიძე, ანუშკა ასატურიანი — საინფორმაციო მენეჯერი.

104-ე საჯარო სკოლის 80

გაგრძელება მე-7 გვ.



ხელოვნების საყარო №14

შავა-ბალი უფრო ზღაპრულია



თბილისის მე-14 შავა-ბალის ბაღნარით წარმტაც ეზოში შესვლისთანავე სისუფთავითა და ლამაზად გაფორმებული ინტერიერით მოიხიბვლებით. მასპინძლობა მიმზიდველმა და ინტელიგენტმა დირექტორმა მელა გოგნაძემ გამინა. იგი პროფესიით ექიმი-პედიატრია, ბავშ-

ვალა ქორიანის, შორენა ლორთქიფანიძის, ნონა ქელიძის და ნანა მანჯგალაძის მთავარი მიზანია. აღმზრდელ პედაგოგებს ერთგული თანამშენებელი უდგანან მხარში, რომელთა შრომის შედეგით რწმუნდება მშობელი, რომ მისი შვილი საიმედო ხელშია. ესენი



ვის განვითარების ნიშანსვებებში კარგად ერკვევა და ზუსტად იცის, რომელი ყოველდღიური აქტივობებია მისთვის საჭირო. აქ თბილი და კოლეგიალური გარემოა, ჯანსაღი, მოწესრიგებული სიტუაცია, პროფესიონალი, თავიანთ საქმეზე შეყვარებული და ბავშვებზე გადაგებული აღმზრდელ-პედაგოგები მოღვაწეობენ. ბალის 7 ჯგუფში 293 აღსაზრდელია. სასწავლო-აღმზრდელი პრინციპი დატვირთული და ხალისიანია. პატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გამოცდილი აღმზრდელების - ნინო ჩიხლაძის, ინგა გაგნიძის, ნუნუ კახობერაშვილის,

არინ: თამუნა ქრისტესიაშვილი, მარი მეგრელი, მზია ლევიკიანი, ნონა კერვალიძე, მთვარისა ლონერაშვილი, მელანია მესხი, ლია ომაძე, ნათია მათიაშვილი, მარიამ ბენდელიანი, იამზე ცომაია, თამარ სანოძე, ეთერ ილურიძე, ინგა წულიაშვილი. საბავშვო შავა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მონოღებული სპეციალური პროგრამის მიხედვით, ბაღში არის 5-6 წლიანთა 2 მზაობის ჯგუფი, სადაც აღმზრდელები - ინგა გაგნიძე და ნინო ჩიხლაძე, თანამშენებელთან - მარი მეგრელთან, მზია ლევიკიანთან და თამარ ქრისტესიაშვილთან ერთად შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პროექტებს

ახორციელებენ. მაგალითად, პროექტი „ჩემი ჯგუფი“, სადაც შემოდგომის თემაზე დამზადებული ნაკეთობები გამოფინეს; „ანსამბლი“ - ქალაქის, ერთ-ერთი თემატების, პლასტმასის ქილებისა და რეზინისაგან მუსიკალური ინსტრუმენტები დაამზადეს; „ჩემი უბანი“ - მალაქარულიანი სახლების, გზებისა და ავტომობილების ქალაქის მაკეტები შექმნეს. საშემოდგომო თუ საახალწლო ზემეზზე ამ პატარებს ბაღალი არ ჰყავთ, რაც მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების - ელენე ნიკოლაძისა და ლევან ნიკლაურის დაუღალავი შრომის შედეგია.

რი მკა ფარეიშვილი, რომელიც საკუთარი შვილივით უვლის ცეროდენებს. დანკრიალბული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები, ქათქათა თეთრული, ფერად-

სა და დაცულობას ემსახურება, თავისი საქმის დიდი სპეციალისტები არიან: სამნეო ნანლის კოორდინატორი რუსუდან ჩიტოძე, ვაჟა ხუციშვილი (მებაღე), ანზორ დევნაშვილი (მუშა),



მომავალი თაობის აღზრდას ერთმანეთის მხარდამხარ ემსახურება და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი: დირექტორის მოადგილე ლია კუპატაძე, საქმისმწარმოებელი ვერა ლომსაძე; სტანდარტების შესაბამისად, მეთოდურ სამუშაოსა და ახალი პროგრამების დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვს საგ. პროგ. კოორდინატორს ნინო ბაკურაძეს; ყველა ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობს ფსიქოლოგი მანანა ალანია, ჰიპერაქტიური და სსსმ ბავშვებისთვის სპეც.პედაგოგი მაია გაბდელიანი, ხოლო მეტყველების კულტურაზე ლოგოპედი ეკა ჯიბუტი ზრუნავს. ბავშვებს სამედიცინო დახმარებას უწევს ჯანმრთელობის და ჰიგიენის კოორდინატორი

ფერადი ფარდები, ყველაფერი ეს დამლაგებლები: მარინა მუზაშვილის, თინათინ ლეჟავას, ლილა გუჯარაიძის და მრეცხავეების - ლალი მღებრიშვილის, ნინო ხიდუმელის, ზინიდა ხინთიბიძის, ქეთევან მამიაშვილის დამსახურებაა. მშობლებს ყოველ დღით შეუძლიათ გაეცნონ სააგენტოდან გამოგზავნილ მენიუს, რომელსაც კვალიფიციური ექიმ-პედიატრები ადგენენ და შესაბამისი კალორიის დაცვით, კეთილმოწყობილ სამზარეულოში უგემრიელეს კერძებს ამზადებენ მზარეულები - მაია ზავრაშვილი, ლელა გელაშვილი, ნანა გულორდავა. შავა-ბალის ყველა მუშაკმა იცის, რომ მათი შრომა პატარების მოვლა-პატრონობას, აღზრდა-

დარჯები - ტრისტან ლომსაძე და ბონდო მეტრეველი. ბალის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულები მშობლები, დირექციასთან პირადი კომუნიკაციის გარდა, ისინი საინფორმაციო ყუთითაც სარგებლობენ, სადაც თავიანთი აზრების, წინადადებებისა თუ შენიშვნების მოთავსება შეუძლიათ. ქალბატონი მედიკო გოგნაძისა და მთელი კოლექტივის შემოქმედებითი ფანტაზიისა და ბავშვებამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდების წყალობით, ამ ბაღში აღსაზრდელის ცხოვრება მხარულად და ხალისიანად მიდის. უთუოდ დიდი ზეიმით შეხვედებიან ცუგრუმელები დამდეგ შობა-ახალ წელს. ნათია გურგინიძე



მეექვსე გვერდიდან

პირველი კლასის ღონისძიება „გამომშვიდობება ანბანთან“ (კლასის დამრიგებელი ევრაქსია ბაგდასარიანი). სკოლას გასულ სასწავლო წელს ჰყავს სამი მედალოსანი:



აიტა ბაზიანი, ანა სირუნიანი, ალუნიკ ისრაელიანი. და მაინც იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მშენებელი იყო ახლახან გამართული პირველკლასელთა ზეიმი: ახალ სასწავლო წელს კარი გაიღო ორი პირველი კლასისათ-

ვის. ცეროდენებმა სექტემბრის სიხარული გაიზიარეს. 15 ნოემბერს კი ახალბედა მოსწავლეებს მიენიჭათ მოსწავლის ნოდება და დაურიგდათ დამადასტურებელი სიგელები. პატარები პედაგოგების ს. კალიანის და ო. შაროიანის დახმარებით წარმატებულად წარდგინეს ფართო მასშტაბის ნინაშე. მათმა ლექსებმა, სიმღერებმა და ცეკვებმა აღაფრთოვანა დამსწრენი. ბოლოს სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები. ეს დღე დაუვიწყარი იქნება ყველასათვის. IX კლასელებმა მილენა პეტროსიანმა და ლარისა აკოფიანმა საბაზო საფეხურიდან კომპიუტერები მიიღეს. საიუბილეო 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ესწრებოდნენ მოსკოვის საოლქო ინსტიტუტის მართვისა და სამართლის იურიდიულ მეცნიერე-



ბათა დოქტორი, აკადემიკოსი, პროფესორი სურენ მკრტიჩიანი (იგი, საიუბილეო ღონისძიებების სპონსორი, სპეციალურად ჩამოვიდა მშობლიური სკოლის

იუბილეზე), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის გამორჩეული პროფესორი, საგანმანათლებლო სტრუქტურებში საქმიანობის გამოცდილი მუშაკი ეკატერინე ხუციშვილი, თბილისის საკრებულოს წარმომადგენელი რიმა ბერაძე, განათლების სამინისტროდან კარინე მანუკიანი, პარლამენტარი რუსლან პოლოსიანი, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი. „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია 104-ე საჯარო სკოლის კოლექტივს, ყველა მოსწავლეს ულოცავს სახელოვან იუბილეს, უსურვებს შემდგომ დიდ გამარჯვებებს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების კეთილშობილურ საქმეში.

მის სახელს დავიწყება ან უწყებია

ანდუყაფარ ჭიშვილი – სახელოვანი ქართველი ფილოლოგი, მეცნიერი, მწერალი



ქართულ საზოგადოებას მუდამ ამშვენებდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ღვაწლით, სასახლო შრომით, უნიჭიერესი შემოქმედებითი საქმიანობით, ინტელექტუალური სფეროს განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს. მათი სახელები, ჩვენი ქვეყნის მატრიანეში, ოქროს ასოებითაა ჩანერილი და თაობიდან თაობას რუდუნებით გადაეცემა.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ანდუყაფარ ჭიშვილი, რომელმაც მეტად საინტერესო გზა განვლო. ჯერ კიდევ, ბავშვობისას, სკოლაში სწავლის პერიოდში, პედაგოგები ყოველთვის აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ ნიჭიერებას და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. თავად ანდუყაფარი კარგად გრძობდა მათ დამოკიდებულებას და, ეს შეფასება, მეტ პასუხისმგებლობას მატებდა მას.

ანდუყაფარმა 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის სპეციალობით. თუმცა, უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას როდი დასჯერდა და, იმავე წელს ასპირანტურაში ჩაირიცხა.

სწრაფად გაიარა სწავლისა და კვლევადიების წლები და, ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო კ. მარქსის სახელობის საქართველოს ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე.

ეს იყო წიგნისა და შემოქმედებითი საქმიანობის სიყვარულით აღსავსე რამდენიმე წელი, რომელმაც უდიდესი

როლი შეასრულა ანდუყაფარის, როგორც მთარგმნელის, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების დღიდან, ანდუყაფარი სპარსული ფილოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა, ხოლო 1985 წლიდან, ინფორმაციის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად გადაიყვანეს. გთავაზობთ ფილოლოგიის დოქტორის გიორგი შაყულაშვილის რეცენზიიდან ერთ ამონარიდს: „ანდუყაფარ ჭიშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ცნობები ნადირ შაჰის დაღესტანში ლაშქრობის შესახებ XVIII საუკუნის 40-იან წლებში. რამდენიმე წელია მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დევს გამოსაცემად გამზადებული ფათჰალი შაჰის (XIX საუკუნის I მესამედი) კარის ისტორიკოსის აბდ არ-რაზაყ დამბოლის თხზულების „მეფეთა საქმენი საგმირონი“ სრული ტექსტის თარგმანი და კომენტარები (20 თაბახი), რომელიც შესრულებულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ შარაშენიძის თანაავტორობით“.

იგი მთარგმნელობით მოღვაწეობას კარგად უთავსებდა სამწერლო, ჟურნალისტურ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას. 2004-დან 2006 წლამდე მუშაობდა რედაქტორად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობის პარალელურად აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ასწავლიდა სპარსულ ენას.

ანდუყაფარ ჭიშვილი წლების განმავლობაში იკვლევდა ირანის ისტორიის საკითხებს, ირანისა და საქართველოს ურთიერთობებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით მას გამოქვეყნებული აქვს უამრავი სტატია და მონოგრაფია: „ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები“.

ეს მხოლოდ მცირე ინფორმაცია გახლავთ მისი ბიოგრაფიიდან. მთავარი და უმნიშვნელოვანესი კი ის არის, რომ ანდუყაფარ ჭიშვილმა შექმნა უნიკალური თარგმანები რუსული, სპარსული და ინგლისური ენებიდან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანდუყაფარი ინგლისურ ენას ფაკულტეტურად დაეუფლა.

მან რუსულიდან თარგმნა რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობები: „ეჭვი“, „უცნაური შემთხვევა“, „მაგიის სასწაულები“, „სუსანოონო-მიკოტო ხანდაზმულობისას“, „გენერალი“, რომლებიც დაბეჭდილია წიგნში: „დილოგი წყვილიაღმი“.

სპარსულიდან თარგმნა სადევ პედაითის მოთხრობები. მასვე აქვს შედგენილი მოკლე ქართულ-სპარსული სასაუბრო.

ძველად თუ მოიძებნება წიგნის მოყვარული, ვისაც საკუთარ ბიბლიოთეკაში არ აღმოაჩნდება ანდუყაფარ ჭიშვილის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი სომერსეტ

ლონდონის „მეფის ცოლი და ადგილობრივი კოლორიტი“.

ნათარგმნია და გამოსაცემად მომზადებული პაპაშვილების „შინ, კვლავ შინ“, რომლის ინგლისური ტექსტი თვით ავტორმა, გიორგი პაპაშვილმა გამოუგზავნა საჩუქრად და სათარგმნად. ასევე, გამოსაცემად მომზადებულია იან პარანდოვსკის „სიტყვის ალქიმია“ და „პაპაშვილი მოქანდაკე“. ეს ნაწარმოები, ანდუყაფარ ჭიშვილმა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორ ზურაბ შარაშენიძესთან ერთად თარგმნა და კომენტარები დაურთო.

ანდუყაფარ ჭიშვილი 2016 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა... ივნისში კი 90 წლისა გახდებოდა.

წავიდა ჩვენგან ვალმობილი თავისი ქვეყნის, ხალხის, ერის წინაშე. წავიდა და ჯერ კიდევ მელანშეუმრობელი დატოვა რამდენიმე თარგმანი, რომლის გამოცემის უდიდესი სურვილი აქვს ოჯახს...

დასანანია, რომ ამიერიდან წარსულ დროში უნდა მოვიხსენიოთ უნიჭიერესი მთარგმნელი, მკვლევარი და მეცნიერი.

ანდუყაფარ ჭიშვილის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია შთამომავლობისათვის იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოსთვის გულანთებული მამულიშვილი.



მოემის „მთვარე და ექვსპენიანი“, რომელიც ოქროს ფონდშია შეტანილი. ასევე, მოთხრობები და ნოველები: „წერილი“, „მათხოვარი“, „განაპირა ოლქი“, „ბარათი“, „მარგალიტის ყელსაბამი“, „მწითური“, რეი ბრედბერის „451° ფარენჰეიტით“ და მესამე ექვსპენიანი, მოთხრობები ციკლიდან „მარსის ქრონიკები“, უოლტერ სკოტის „რობროი“, ელენე და გიორგი პაპაშვილების „ქვეყანა, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს“ და „დღესაც მელოდება“, ჯეკ

სრულიად იმსახურებს ანდუყაფარ ჭიშვილი გიორგი სააკაძის სიტყვებს: „ბედნიერია იგი, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული!“ დიდება მის სახელს!“.

ირინე ასათიანი,

საქართველოს პენსიონერთა კავშირის კრწანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.



ილია ჭავჭავაძე - 180!



თბილისის 59-ე საჯარო სკოლის მერვე (მეორე) კლასში ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის 180-წლისთავი აღინიშნა. ლონისძიებს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ქალბატონი

წლები, წაიკითხეს მისი ლექსები, პოემები და ნაწყვეტები პროზიდან...

წარმოდგენას ესწრებოდა კლასის დამრიგებელი ქალბატონი ნინო დიდმელაშვილი. მან მადლობა გადაუხადა ლონისძიების ხელმძღვანელსა და მოსწავლეებს განუული შრომისათვის, განსაკუთრებით კი, აღნიშნა, რომ ეს იყო ღრმა შინაარსით დატვირთული და ილიას მოღვაწეობის ამომწურავი და შეგნებული ცოდნის გამომხატველი ლამაზი ლონისძიება.

ნანა ძიგოშვილი ხელმძღვანელობდა. მოსწავლეებმა გაიხსენეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი

სალომე პაპიტაშვილი

თბილისში აღმშენებლისა და გ. ტოვს-ტონოგოვის ქუჩების პირას მდებარე შენობაში განთავსებულია უძველესი არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „კათარზისი“.



ესაჭიროებათ გაჭირვებულ ხანდაზმულებს.

„კათარზისი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სულიერ განწმენდას თანაზიარობით კავშირის გზით.

სათნოების სახლი არის ადამიანთა კომპლექსური დახმარების ცენტრი. აქ თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური სამსახურები, რომლებიც აქტიუალურია მოსახლეობისთვის.

„კათარზისის“ ფილიალები ფუნქციონირებენ ზესტაფონსა და ახალციხეში. 1994-2009 წლებში ხსენებული სტრუქტურა არსებობდა აგრეთვე მოსკოვში.

„კათარზისის“ დამფუძნებელია და დღესაც მას ხელმძღვანელობს დაუღალა-



ვი, შემოქმედი, აქტიური პროვინება ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი.

აქ მხოლოდ მანდილოსანთა თავშესაფარია და 14 ხანდაზმულის განთავსება შესაძლებელი.

საინტერესო დატვირთვა აქვს სარეაბილიტაციო დარბაზს. აქ კვალიფიციური სპეციალისტი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობის შესატყვის ვარჯიშებს, ხოლო სათნოების ძმები ეხმარებიან რეკომენდაციების სწორად შესრულებაში.

აქვე მუშაობს მასაჟისტიც.

ნოსტალგიის თეატრი კი პროფესიონალ



ხანდაზმულთა თეატრია. 1993 წლიდან დაიდა 18-მდე სპექტაკლი და იუმორისტული სკეტიჩი: „ხეივანი თოჯინა“, „ხანუმა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გამოკეტილი ჭიშკარი“, „ოინბაზები“, „უჩინმარინის ქული“.

„კათარზისს“ აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე. აქ ჯვრით შესაძლებელია მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

სასადილო დღეში 310 ადამიანს აპურებს.

რა შეიძლება ითქვას სასანთლეზე. სათნოების ძმები ის სამხედროები არიან, რომლებიც „კათარზისში“ იხდიან სავალდებულო სამსახურს, ისინი თითქმის ყველა ობიექტზე მუშაობენ.

სილამაზის სალონი „კათარზისში“ ემსახურება ჩვენს ბენეფიციარებს.

ყურადღებას იქცევს რელაქსაციის ოთახი, სადაც ამადინები ბინადრობენ. მათი გალობა ქმნის მშვიდ, მყუდრო გარემოს. აქ ხშირად ნახავთ სავარძელში ტკბილად მიძინებულ ბებიას ან ბაბუას.

არის კაფე „ჯული“. ხანდაზმულები საუბრობენ ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, აღნიშნავენ დაბადების დღეებს, უსმენენ მუსიკას, მართავენ შეხვედრებს. კაფე ატარებს ორგანიზაციის დიზაინერის ქალბატონ ჯული სუხიშვილის სახელს, რომელიც კათარზისელებს ასსოვთ და უყვართ.

ბიბლიოთეკაში ხანდაზმულები ინტერეტით ეცნობიან კლასიკურ, თანამე-

დროვე ლიტერატურასა და ახალ პრესას.

მეორადი სამოსი გაიცემა მოქალაქეების ან მეორადი სამოსის მდლაზიებიდან. აქვე მუშაობს მეკრავი, ძირითადად ემსახურება მამაკაცებს, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებული არიან.

სამედიცინო სამსახური ეხმარება ყველა ბენეფიციარს. სულ სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანილ ადამიანთა რაოდენობა ათასს აჭარბებს.

სამლოცველო მოხატულია ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ. სამლოცველო აკურთხა ქართული ეკლესიის მეთაურმა ილია II-მ.

ჩვენი მკითხველის ყურადღება გვსურს მივაპყროთ სამგორის რაიონში მოსკოვის პროსპექტზე მდებარე დროებით თავშესაფარზე (კარვებზე). პროექტი მიმდინარეობდა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის ინიციატივით და მხარდაჭერით.

„2013-2015 წლებში დახმარება განიხი 450-ზე მეტ ადამიანს. მოსკოვის გამზირზე მოწყობილ 21 კარავში განთავსებულ 200-ზე მეტ უსახლკაროთა ბენეფიციარს „კათარზისი“ უზრუნველყოფდა ორჯერადი კვებით და სხვა მომსახურებით.

სადილი ყველას – ეს პროექტი ხორციელდება 2002 წლიდან

აპაყალ ქაჩას ალაშიანი!

ჰუმანიზმისა და ღირსების დაფასების უაღრესი



აქციის დღეს აქ უმასპინძლებიან ყველას, ვინც ენვევა ხანდაზმულებს, დევნილებს, მარტოხელებს, ე. წ. ქუჩის ბავშვებს' და ა.შ. თითოეულ აქციაზე 2000-მდე ადამიანი მოდის.

სააღდგომო-საშობაო დახმარებას „კათარზისში“ 170 გაჭირვებული ოჯახი წელიწადში ორჯერ – შობას და აღდგომას ღებულობს. 21 მწოლიარეს დღემდე, თვეში ერთჯერ მიეწოდებათ პირველადი საჭიროების პროდუქტები.

ვესაუბრებით რა ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ასაკოვან ადამიანებისთვის მზრუნველ „კათარზისზე“, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, საქართველოში ფუნქციონირებს ასევე, „საზოგადოება ყველა ასაკისათვის“ „ამაგდარი“. მისი თავმჯდომარეა აკადემიკოსი ვახტანგ ქიზიყურაშვილი. ათეულ წელზე

მეტია ფუნქციონირებს აღნიშნული სტრუქტურა. „ამაგდარის“ დამფუძნებელთა საბჭო, რომლის წევრიც ამ საგაზეთო წერილის ავტორიც გახლავთ, ხელმძღვანელობს დევიზით „თაობათაშორის კავშირი ქვეყნის ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის საწინდარია“.

გვჯერა: ზემოთ ხსენებული ამ ორი სტრუქტურის თანამშრომლობა მხოლოდ სიკეთისა და სულიერი სიმდიდრის

საწინდარი იქნება.

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია „კათარზისს“ და მის კოლექტივს უსურვებს წარმატებებს ადამიანთა ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის მიზნით განუვალ საქმიანობაში.

რომან მოსეშვილი



კომპიუტერის შუა-ჩრდილება

ნერა-კითხვა სომ არ გავიწყდებათ!

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვამორე კომპიუტერს. პატარები კი არა, ჭარმაგებიც გადარია ცივილიზაციის ამ მიღწევამ, ჩვენს ჯანმრთელობას დაემუქრა, თავის შეუწუხებლად ფონს გასვლის სენი შეგვყარა, ნარკოტიკივით შეგვიჩვია, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გავგაგდებინოს. პედაგოგები, ფსიქოლოგები და ექიმები, რას ანია ამტკიცებენ: რამე თუ არ ვილონეთ, შეიძლება რობოტებად გვაქციოს ჩვენგანვე შექმნილმა რობოტმა.

დღეს იდიოტი უნდა იყო კაცი, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობა არ გესმოდეს. მოდით, განათლების, სწავლების კუთხით ვიმსჯელოთ და გავიაზროთ ამ უდიდესი მონაპოვრის შუა-ჩრდილები. დაგვავთ კითხვა ასე: ამაღლდა თუ არა სწავლების, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი მას შემდეგ, რაც სასკოლო სწავლების სისტემაში ასე უმძღვარესად შემოიჭრა კომპიუტერი? პედაგოგებისა და ფსიქოლოგების პროგნოზ-დიაგნოზი არც ისე მომხიბლავია. განწყობის თეორიის მიხედვით, სწავლების პროცესში კომპიუტერის გამოყენებისას იკარგება წიგნის კითხვის, წერის, „თავის შეწუხების“, ლოგიკური მსჯელობის, აზროვნების ინტერესი, ანუ მიგნების, აღმოჩენის, მოტივაცია, რადგანაც ყველა დავალებაზე, კითხვაზე იოლად შეგიძლია მოძებნო მზამზარეული პასუხები. ამდენად, ბავშვი, მოზარდი, ხშირად სტუდენტიც სახელმძღვანელოს ხელს არ კიდებს, ხოლო კომპიუტერს სწავლაზე უფრო გასართობად იყენებს.

რამდენ პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ და თავისი მუშის ნაყოფს პირდა-

პირ კომპიუტერით აწყობს. გაგიგონიათ: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“. ე. ი. იოლად შესწავლილი იოლად გავიწყდება. ფსიქოლოგების ოქროს შეგონება: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

ახლა მოსე მწერლის შეგონებაც მოისმინეთ: თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ, ან რამეს იშვიათად დაწერ, შეუმჩნეველად წერა-კითხვას გადაეჩვევი.

ყველაზე „მავნე“ კომპიუტერი სწავლების დაწყებით საფეხურზეა. I, II, III კლასის მოსწავლის მოუწონებელი გონება და ნერვული სისტემა ზღვა ინფორმაციას ვერ გადაამუშავებს, მას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს და ამისი შედეგია ხშირად, რომ იმ საგნის იძულებით შესწავლაზე გულს იცრუებს. კიდევ უარესი: იმატა სათვალისანი ცეროდენების რიცხვმა. მაშ, რა ექნათო? რა და მოსე მწერალი ერთ რჩევას გთავაზობთ: მეოთხე კლასამდე კომპიუტერს ნუ ჩავაყენებთ სწავლების სამსახურში. ბოლოსდაბოლოს, იგი ხომ უმაღლესი ხარისხის სწავლების დამხმარე ტექნიკური საშუალებაა, მეტი არაფერი. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას, მასწავლებელს. რატომ არ იწვის წყალი და თავად არისო წვის პროდუქტი. ასეა ამჯერადაც, კომპიუტერი თავად გახლავთ წერა-კითხვის, წიგნის, ადამიანის გონების პროდუქტი.

თუ მაგარი ბიჭია, მაშინ თვითონ ჩამოვიდეს „მისი აღმატებულება“ კათედრასთან და ერთი მეთოდურად გამართული გაკვეთილი ჩაგვიტაროს!

მოსე მწერალი

პატარა შვილი პოპულარული

იგი ბავშვების მეგობარი პოეტია. რაში გამოიხატება ყოველივე ეს? რაში და მანანა ზაზიკაშვილის ადვილად გასაგებ ლექსებს იზიარებენ, მღერაინ საბავშვო ბაგა-ბაღების ცეროდენები. იგი შესულია დანების კლასების „დედადნის“ სახელმძღვანელოებში. იგი ყველა კუთხით აკმაყოფილებს პედაგოგიურ-დიდაქტიკურ მოთხოვნებს. ხატოვანია, სისხარტით გამორჩეული. ერთ ნიმუშს დავასახელებთ.

მანანა ზაზიკაშვილი

ახალი რქისი უდრატქს

ჰკვიანო

რვიანების წერაც ვიცი, ლამაზად ვწერ ორიანს, ხატვა, ძერწვა არ ვლობა აქეთ-იქით ბორიანს?!

წელს პირველკლასელთათვის **ბაკურ სულაკაურის** მიერ მალაქოლოგიკრაფიულ დონეზე გამოცემული სასწავლო მასალა. ერთ-ერთ ნიგნში „ქართული საბავშვო ლექსები და მოთხრობები“, ცოცხლდება ადრე გაფერმკრთალებული იაკობის „დედადნა“. ბავშვის მარტივი, ხატოვანი აზროვნებისთვის იოლად აღსაქმელი სასწავლო მასალების დიდი უმრავლესობა იაკობისეულია. აქ არის „მოჭიკჭიკე, მოალერსე“ მერცხალი, აქ არის „ზარმაცი

ზოოპარკში

გალიასთან შორს დადექი, ხელს ნუ ახლებ რიკულებს, ცხოველი არ გააბრაზო, ხედავ მკაცრად გიყურებს?!

ლაშამ ვარჯიში ისწავლა

ლაშამ ვარჯიში ისწავლა, ვარჯიშობს, მერე როგორა, ყირას გადადის ლეიბზე, ხან ციგურებით მოგორავს. – დილით ადგომა არ უყვარს, ვარჯიშს ახერხებს როგორა?!

გიგო“... და აქვე არის შეტანილი მანანა ზაზიკაშვილის ლექსი „პატარა მეთევზეები“.

მანანა ზაზიკაშვილის საბავშვო ლექსები ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

ამა წლის აპრილში მისი კოხტა ლექსები გამოქვეყნდა მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლება“-ში, ხოლო ახლახან მეტად სოლიდურმა, პოპულარულმა, შემეცნებითმა (არაპოლიტიკურმა) ჟურნალმა „ათინათმა“ ვრცელი ადგილი დაუთმო მას.

ახლა კი გთავაზობთ მანანა ზაზიკაშვილის ახალ ლექსებს.



პატარა მეთევზეები

სათევზაოდ მოემზადნენ გია, გელა, გიგი, ნახეს ჩანთა, ძველი ბადე, შეკრეს გამძლე ტივი. ანკესებიც შეიძინეს თევზის დასაჭერად, პერი, ბიჭო! უთენია გზას გაუდგა ყველა. მდინარესთან რომ მივიდნენ, მიხვდნენ მხოლოდ მაშინ, ბადე, ჩანთა, ანკესები, დარჩნოდათ მათ შინ.

თორნიკე და მინდია

თორნიკე და მინდია ტყეში ერთად მიდიან, არ ჭირდებათ კომპასი, ბებო მისდევთ „მომპასით“...

გამოცანა

ოთხი ჭუკი და ექვსი ციცარი, სულ რამდენია?! გამოიცანი!

ნუ დაჩოქავით!

ხბოს აღტაცება

ხშირად გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია. ბოჩოლა რძით რომ გაიჭყებება, მინდორში კუნტრუს დაიწყებს, უაზროდ გაგიყდება, ხან აქეთ მიანყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს. ამას ეძახიან „ხბოს აღტაცებას!“

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას

არ ვუკვირდებით. „ხბოს აღტაცების“ ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო – ერთი – იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყენენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევეების აულებელი სუფრა“ გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა **ასტაფიევი** მოსკოვში, პასკვილი „ციმორის ჭერა“ გამოაცხო: ქართველები

უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიმი გადგათო.

ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ორჰან ფაშუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო, ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირიგნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, „პრეზენტაცია“ მოუწყვეს, „სუფრადანციაც“ ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა „უძვირფასეს, სტუმარს, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ რას გვეტყვიო? – არც კი მაქვს ნაკითხულიო (!?)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგეძალათ ბევრს „ხბოს აღტაცება“?



თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!

საქმა და სიყვანა, რომლის გვერდითაცაა

როგორ ვერ მოგაყვანა დირექტორმა

შაჰკინის შეუქცევადი შიში დღესაც ბუდობს ზოგიერთი სკოლის დირექტორის თავში. შიში ბევრი რამის გამო იყო. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტებთან, თუნდაც მასწავლებელთა გაზეთის თანამშრომლებთან ურთიერთობის გამო, დირექტორებს ჟურნალისტებისგან თავის არიდების მეთოდია ისე აქვთ დახვეწილი, თითქოს ამ მიზნით, ტრენინგები გაიარესო.

სამინისტროსგან სკოლებისთვის დარიგებული ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტების მიზნით დირექტორს „დავუკავშირდი“, მაგრამ დავუკავშირდი კი? საქმის მწარმოებელმა გამოძიებელივით გამოძიებთა:

„ვინა ხარ, სიდან მოსულხარ, ან კი მიდიხარ სადაო?“ – ჟურნალისტი ვარ, განათლების სისტემის მუშაკი, – გავიგებ, არის თუ არა დირექტორი. პაუზა და პასუხი: სამინისტროშია წასული.

კიდევ ხუთ სკოლას დავუკავშირდი. პასუხები: „რესურსცენტრშია“, „შეხვედრანა“, „ტრენინგზეა“, ე. ი. სკოლაში არასოდეს არ არის. ეჭვი შემეპარა და დავრწმუნდი, მატყუებდნენ. მეექვსე სკოლიდანაც იგივე პასუხი. – გთხოვთ მობილურის ნომერი ჩამაწერინოთ. – აკრძალული გვაქვს.

გამახსენდა, რომ ამ სკოლაში მეგობარი მუშაობდა. – თუ ძმა ხარ, ერთი გამიგე, თქვენი

დირექტორი სად არის? – აგერაა, თავის კაბინეტში ზის. ისე ვურეკავ საქმეთა მწარმოებელს: არა გრცხვენიათ? ცხვირწინ გიზის დირექტორი და მე თქვენს კოლეგას ასე უტიფრად რომ მატყუებთ? მკითხველო, აი, ბიუროკრატიზმის კლასიკური მაგალითი.

მედასავლეთი ქართველების აზორიზაქი

რუსთაველის ხმაზე: „ამერიკული დოლარი მირჩენია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.

„ხამს დოლარი ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

ბარათაშვილის ხმაზე: „ჯანი გავარდეს ან ენას, მამულს, ოღონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“

„რის ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

ერისთავის ხმაზე: „მე მირჩენია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

„ო, ანაჰ, ჩამო!“

„შედეგებზე ორიენტირებული“. უშედეგობაზე, გაკოტრებაზე ორიენტირებული საქმე სადმე გინახავთ? უნდა იყოს: „მაღალ შედეგებზე ორიენტირებული“.

„განვითარების სამინისტრო“, „განვითარების სამმართველო“. სიტყვა „განვითარების“ ზედმეტია. ყველა დაწესებულება ამა თუ იმ დარგის განვითარებისთვის, წარმატების მიღწევისთვისაა შექმნილი და არა დაკნინებისთვის. უნდა იყოს ტრადიციულად: „განათლების სამინისტრო“, „ეკონომიკის სამინისტრო“ და

არა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

სოფელ კოდის შესასვლელში, ტრიალ მინდორზე დგას ბოძი, რომელსაც აწერია: „თეთრინყაროს მუნიციპალიტეტი“. ადრე ეწერა „რაიონი“, რომელიც ნამდვილად სწორია. რაიონი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, იმ ტერიტორიას, რომელიც თეთრინყაროს გამგებლობაში მას ეკუთვნის. „მუნიციპალიტეტი“ გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას, რომელიც უნდა ეწეროს ქალაქის იმ შენობას, რომელშიც ეს ორგანიზაცია არის განთავსებული. ახლა კი, ასე გამოდის, ეს ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდი, დავუძახოთ: „მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“, „სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“. როგორი იქნება ჰა?

მოსა მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 18 (4557)
29 ნოემბერი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

